წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26
2015 წლის 27 მარტი

ქ. წყალტუბო

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიუტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებაში (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ www.matcne.gov.ge სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.122.016267. 04/02/2015) და ამ დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი ,,$გ^1$“ ქვეპუნქტი:

,,$გ^1$. შემსყიდველის მხრიდან სამუშაოების შესრულების აქტზე (ფორმა №2. ფორმა №3) ხელს აწერს შესაბამისი ჯგუფის (კომისიის) უფროსი (თავმჯდომარე), ამოწმებს სამსახურის (გამგეობის) ბეჭდით და წარუდგენს გამგებელს“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ახალაძე**